გურამ პეტრიაშვილი – „მღებავი და გაუცინარი კაცი“

მოამზადა ანი კუდუხაშვილმა

აქტივობა	დეტალური აღწერა	წუთი
სიტყვის ყუთი	მასწავლებელი სთხოვს თითოეულ ბავშვს, გამოვიდეს დაფასთან და ამოიღოს ერთი ფურცელი სიტყვის ყუთიდან. ახსნას ამოღებული სიტყვის მნიშვნელობა ისე, რომ დანარჩენებმა გამოიცნონ ჩაფიქრებული სიტყვა.	5
ტექსტის კითხვა	ტექსტის კითხვის დროს ვჩერდებით მონიშნულ ადგილებზე და ვსვამთ ტექსტის კომენტარებში აღნიშნულ კითხვებს.	10
ტექსტის ანალიზი **აქტივობა (დებატები)**	როგორი იყოს ეს ამბავი? სად ხდება ამბის მოქმედება? როგორები არიან ქალაქის მცხოვრებლები? რომელი ეპიზოდი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად? რატომ? როგორ ფიქრობთ, ვინ არის ამბის მთავარი პერსონაჟი? თქვენ რომელი პერსონაჟი მოგეწონათ? რატომ? მღებავი თუ გაუცინარი კაცი? ან იქნებ ბავშვები? როგორ უკავშირდება ეს ორი პერსონაჟი (მღებავი და გაუცინარი კაცი) ერთმანეთს? გავიხსენოთ, როგორ გაიცნეს მათ ერთმანეთი? როგორია, ამბის მიხედვით, მღებავი? როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ბავშვებთან? როგორი იყო თავდაპირველად გაუცინარი კაცი, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ბავშვებთან? თავად ბავშვები და ქალაქის სხვა მცხოვრებლები რას ფიქრობდნენ გაუცინარ კაცზე? შეიცვალა თუ არა გაუცინარი კაცი ამბის ბოლოს? როგორ? რატომ? რამ შეიძლება შეცვალოს თურმე ადამიანი? **სადისკუსიო თემა** - **„ვინც სერიოზული სახით დადის, ის აუცილებლად ჭკვიანია!“** მასწავლებელი დაფაზე წერს ამ სადისკუსიო თემის სათაურს და სთხოვს ბავშვებს, რიგ-რიგობით გამოთქვან თავიანთი აზრი. მოიყვანონ მაგალითები ტექსტიდან ან საკუთარი გამოცდილებიდან. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს ბავშვებს მაგალითების მოფიქრებასა და აზრის ჩამოყალიბებაში.	30

გურამ პეტრიაშვილი „მთვარით განათებული ჩიტის ზღაპრები“

მღებავი და გაუცინარი კაცი

ერთ დილით მხიარული მღებავი შემოვიდა ქალაქში. ნაირფერი საღებავებით აფერადებული ტანსაცმელი ეცვა და თავზეც ფერადი **ქუდი** ეხურა.
პირველსავე სახლს რომ გაუსწორდა, მღებავი შედგა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „მოდი აქედანვე დავიწყოთო“.

მივიდა, დააკაკუნა კარზე და პატრონებმა რომ გამოხედეს, ფერადი ქუდის მოხდით მიესალმა და იკითხა: ბავშვები თუ გყავთო.
უთხრეს, კი გვყავსო.

- ძალიან კარგი, – გაიღიმა მღებავმა, – მოდით, იმ ოთახს შევღებავ, სადაც მათ სძინავთო.

გადმოიღო ქუდი, ახადა ყუთს სახურავი და ამოიღო საღებავიანი ქილები და ფუნჯები. შეიტანა ყველაფერი ოთახში და ჩაკეტა კარი.

საღამომდე ისმოდა ოთახიდან მისი ღიღინი. საღამოს კი გამოვიდა მღებავი. ერთიც გაუღიმა ყველას და მიიპატიჟა:

- მობრძანდითო.

ბავშვებს დედ-მამა შეჰყვა. გადააბიჯეს ზღურბლს და იქვე გაჩერდნენ. თითქოს გამქრალიყო ოთახი და აყვავებული ბაღებით სავსე სივრცის შუაგულში იდგა ბავშვების საწოლები... გორაკებზე თეთრად ყვაოდნენ დიდი ხეები და წყნარი ტბის პირას გაშლილი ბუჩქნარიც. ყვაოდა ყველაფერი და თითქოს აყვავებული ხეების სურნელიც მოჰქონდა ნიავს.

პირველად ბავშვები გამოერკვნენ. შევიდნენ ოთახში და სიხარულით ხტუნვა დაიწყეს.

მეორე დილით მღებავი კვლავ შემოვიდა ქალაქში ღიღინით და ახლა მათი მეზობლის ბავშვებს მოუხატა ოთახი.

ასე მოდიოდა ყოველდღე და ყოველდღე თითო ოთახს ავსებდა აყვავებული ხეებით.

და ხალისიანები გახდნენ მთელი ქალაქის ბავშვები. სულ მხიარულად დახტოდნენ და მღეროდნენ და ავადაც აღარავინ ხდებოდა.

მღებავს მხოლოდ **გაუცინარი კაცის** ოთახი არ შეუღებავს, რადგან მას ბავშვები არ ჰყავდა. ამ კაცს გაუცინარი იმიტომ ერქვა, რომ თავის თავს ბრძენად სთვლიდა და ფიქრობდა, ბრძენი ადამიანი მუდამ სერიოზული უნდა იყოსო. საკვირველი ის იყო, რომ ქალაქის მცხოვრებნიც ბრძენად მიიჩნევდნენ ამ კაცს, თუმცა არასოდეს ერთი სიტყვაც არ გაეგოთ მისგან. ეტყობა, ამქვეყნად ბევრი ფიქრობს, ვინც სერიოზული სახით დადის, ის აუცილებლად ჭკვიანიაო.

ჰოდა, დაინახავდნენ თუ არა ამ კაცს, მაშინვე წყვეტდნენ სიცილს მოქალაქენი და რცხვენოდათ კიდეც, ეს ასეთი სერიოზულია, ჩვენ კი ქარაფშუტულად ვმხიარულობთო.

„როცა იქნება, თქვენც მოგაჭკვიანებთ, თქვენც მიხვდებით, რომ საერთოდ სისულელეა სიცილი და ყველანი ჩემნაირები გახდებითო“, – გაიფიქრებდა კმაყოფილი.

იქნებ მოეყვანა კიდეც თავის ჭკუაზე მთელი ქალაქი, მაგრამ ბავშვებს ვერაფერს უხერხებდა.

ამ ბოლო დროს რომ გაცილებით უფრო ხშირად ისმოდა ბავშვების სიცილი ქალაქში, ეს არ გამოჰპარვია გაუცინარ კაცს. სულ ფიქრობდა, რისი ბრალიაო, და აი, ახლა როგორღაც იგრძნო, რომ ეს თავიდან ფეხებამდე საღებავში ამოსვრილი არასერიოზული კაცი იყო ყველაფერში დამნაშავე. მან მშობლებისგან გაიგო, რომ ყოველ საღამოს კედელზე დახატული ფერადი **ჩიტები** ცოცხლდებოდნენ, ბავშვებს სასთუმალთან უსხდებოდნენ და გალობდნენ.

გაბრაზებულმა გაუცინარმა კაცმა მშობლებს ჩიტების დაჭერა და მასთან მიყვანა დაავალა.

იმავე ღამით ყველა მშობელი დაუდარაჯდა და როგორც კი ჩიტებმა ბუჩქებზე შეიფრთხიალეს, მაშინვე სტაცეს ხელი და ჩასვეს გალიებში. დილით კი ჩიტები გაუცინარ კაცს მიუყვანეს. უცებ ყველა **გალიაში** ჩიტები ერთდროულად აფართხალდნენ, გაუციანრი კაცის სახლი მოსწყდა მიწას და ჰაერში აფრინდა.

დაღამდა. ახლა ბნელში მიფრინავდნენ. ბოლოს გაუცინარმა კაცმა გააღო ერთი გალია და თითო-თითოდ გაუშვა ჩიტები. მერე მეორე გალია გააღო, მერე - მესამე ...

იგრძნო, რომ სახლი თანდათან ეშვებოდა.

გაუცინარმა კაცმა შვებით ამოისუნთქა. მერე ჩაფიქრდა და თქვა.

- ცაში ვიფრინე!

წარმოიდგინა, რა სანახავი იქნებოდა თან ჰაერში რომ მიფრინავდა და თან ცხვირჩამოშვებული რომ მოჩანდა **ფანჯრებში** და უცებ სიცილი აუტყდა.

ჰო, რა გემრიელად იცინოდა!

იცინოდა დიდხანს, ისე იცინოდა, სულს ძლივსღა ითქვამდა.

აქ უნდა ვთქვათ, რომ თუ კაცი თავის თავზე ერთხელ მაინც გაიცინებს გულიანად, მერე ის აღარ ეცდება, სულ სერიოზული სახით იაროს.

დავალებების ფურცელი

1) რა შიცვალა ქალაქში მღებავის გამოჩენის შემდეგ?

ა) ბავშვები აღარ თამაშობდნენ;
ბ) ბავშვები მშობლებს აღარ უჯერებდნენ;
გ) ბავშვები აღარ მხიარულობდნენ;
დ) ბავშვები აღარ ავადმყოფობდნენ.

2) შენი აზრით, როგორი იყო მღებავი? (მოიყვანე ტექსტიდან მაგალითი)

3) როგორ გესმის ფრაზა **„გაუცინარი კაცი გემრიელად იცინოდა“?**

ა) გულიანი კაცი ხმადაბლა იცინოდა;
ბ) გაუცინარი კაცი გულიანად იცინოდა;
გ) სერიოზული კაცი ხმამაღლა იცინოდა;
დ) გაუცინარი კაცი ჩუმად ქირქილებდა.

4) დაუკვირდი განმარტებებს და დაალაგე არეული ასოები ისე, რომ მიიღო სწორი სიტყვა:

მაგალითად: დაბალი, საამო ხმით მღერა: **ღღინიი** **ღიღინი**

ა) ჭკვიანი და მოაზროვნე ადამიანი: **რბეძინ** ----------
ბ) თავქარიანი ადამიანი: **ქარშუაფატ** ----------
გ) სასიამოვნო ქარი, სიო: **იავნი** ----------
დ)სახლში შესასვლელი საზღვარი: **ზურღბლი** ----------

5) დაუკვირდი თითოეულ ხაზზე მოცემულ ნახატს და გამოიცანი, რომელი პროფესიის ადამიანი იყენებს ამ ნივთებს:

_____

_____



_____

_____